



ევროპის ციხეები: ადგილობრივი სამართლებრივი სიახლეები

ნოემბერი 2022

პრაქტიკოსებისთვის ევროპის მასშტაბით შესაძლოა, რთული იყოს, მიჰყვნენ ციხის შესახებ პრაქტიკას, კანონმდებლობასა და აღმასრულებელი ხელისუფლების განვითარებას ციხის საკითხებთან დაკავშირებით. წინამდებარე შეჯამებაში ევროპული ციხის სამართალწარმოების ქსელი (EPLN), მისი წევრები და პარტნიორები ევროპის მასშტაბით მიზნად ისახავენ ადგილობრივი იურისტებისა და ევროპის მასშტაბით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინფორმირებას ციხის საკითხებზე უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი მოვლენების შესახებ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს საშუალებას მოგცემთ, უკეთ მოახდინოთ ევროპული ტენდენციების იდენტიფიცირება და გამოიყენოთ ისინი თქვენს პრაქტიკაში. შეჯამება მოიცავს ევროკავშირის 14 წევრ ქვეყანას, აგრეთვე რუსეთს, მოლდოვას, უკრაინასა და საქართველოს.

ჩვენ მივესალმებით თქვენს უკუკავშირს, თუ როგორ ვაქციოთ ეს ბიულეტენი თქვენთვის უფრო სასარგებლოდ

ციხის სამართლებრივი სიახლეების მიმოხილვა აპრილ-ივლისი 2022

ევროპის საბჭო ■ რუსეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც რუსეთის ხელისუფლებას უფლებას აძლევს, არ აღასრულოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) გადაწყვეტილებები, რომლებიც საბოლოო გახდა 2022 წლის 15 მარტის შემდეგ.

საკომპენსაციო საშუალებები ■ უცნაური საქმე ბელგიაში, რომლის მიხედვითაც პატიმარს, რომელსაც სავარაუდოდ მოუსმინეს მისი ადვოკატის გარეშე და საკომპენსაციოდ მისცეს მარწყვის ღვეზელი, მიუთითებს ქვეყანაში პატიმრებისათვის არსებული საკომპენსაციო საშუალებების არასრულფასოვნებაზე. ბულგარეთში სასამართლომ „არაადამიანურ და დამამცირებელ“ პირობებში მოთავსებული პატიმრის არამატერიალური ზიანის (გადატვირთულობა, ცუდი ჰიგიენა, არასაკმარისი განათება, არასაკმარისი სამედიცინო დახმარება და ა.შ.) ანაზღაურება გამოითვალა სოციალური დახმარების ოდენობიდან გამომდინარე, რომელიც ურესურსო პირებს ეძლევათ.

COVID-19 ■ პატიმრების საკომპენსაციოდ საქართველოში ამოქმედდა სასჯელის შემცირების სისტემა კოვიდ-19-ის დროს ციხეში დაწესებული შეზღუდვების გამო. უნგრეთში აღდგა პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზიტები, მაგრამ ნებადართულია მხოლოდ სრული ფიზიკური განცალკევებით. პორტუგალიაში სასამართლომ დაადგინა, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის კონტექსტში შემოღებული დროებითი საშუალებები ეხებოდა მხოლოდ საპატიმრო სასჯელს და არა შინაპატიმრობას.

დაკავების პირობები ■ უნგრეთში ვერ დაადგინა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევა პატიმრის საქმეზე, რომელიც 32-ჯერ იქნა გადაყვანილი ერთი ციხიდან მეორეში ცუდ პირობებში (ტუალეტის არარსებობა, ხელბორკილები, უსაფრთხოების ქამრის არარსებობა). ასევე უნგრეთში სასამართლომ დაადგინა, რომ არამწვეველი პატიმრის იძულება, რომ ეზოში მწვეველ პატიმრებთან ერთად მოეცადა ციხის ბადრაგის ნაკლებობის გამო გაუთანაბრდა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე მის

უფლებას. **რუსეთის** იუსტიციის სამინისტრომ მიიღო [ახალი რეგულაცია, რომელიც აუმჯობესებს ციხის პირობების სტანდარტებს](#). ახალი კანონმდებლობა **საბრემნეთში** ცვლის პატიმრების დაბალი უსაფრთხოების „სასოფლო-სამეურნეო“ (საპატიმრო ბანაკებში) გადაყვანის პირობებს, ამარტივებს გადაყვანის პირობებს და ასევე ზრდის იმ დანაშაულების რაოდენობას, რომლებიც წარმოადგენენ ამ ზომიდან გამორიცხვის საფუძველს. **ბელგიაში** ციხის ადმინისტრაციის გენერალურმა დირექტორმა გამოაცხადა არსებული ორი „transition houses“-დან (პატარა ციხეები) ერთ-ერთის დახურვის შესახებ, რაც შედეგად მოჰყვა კერძო კომპანიის გასვლას, რომელიც ახდენდა მის ოპერირებას. ასევე **ბელგიაში** იუსტიციის მინისტრმა განაცხადა მოკლევადიანი სასჯელის აღსასრულებლად საპატიმროების (detention houses) დაგეგმილი გახსნის შესახებ.

განათლება ■ **საქართველოში** იუსტიციის სამინისტროსა და განათლების სამინისტროს შორის გაფორმებული ახალი მემორანდუმი საშუალებას აძლევს პატიმრებს, რომ ისწავლონ უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლის მეშვეობით. **პორტუგალიის** იუსტიციის სამინისტრომ ცოტა ხნის წინ გამოაცხადა, რომ გეგმავს, [2022 წლის ბოლოსთვის ციხის მოსახლეობის 35%-სთვის უზრუნველყოს განათლება და სასწავლო კურსები](#).

საკვები ■ **ავსტრიის** სასამართლომ [განსაზღვრა დაკავებულებისათვის საკვების უზრუნველყოფის წესები](#). **უკრაინაში** ცოტა ხნის წინ მიიღეს [კანონი პროცედურების შესახებ, რომელიც დაცულ უნდა იქნას იძულებითი კვების შემთხვევაში](#).

სიტყვის თავისუფლება ■ **გერმანიის** ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ციხის ადმინისტრაციამ დაარღვია პატიმრის გამოხატვის თავისუფლება, როდესაც უარი უთხრა ჟურნალისტს პატიმრის ინტერვიუზე.

ჯანმრთელობა ■ **ბულგარეთში**, ორ სხვადასხვა საქმეზე შიდა სასამართლოებმა კომპენსაცია დაადგინეს [პატიმრისთვის, რომელიც ციხეში დაავადდა ტუბერკულოზით და პატიმრისთვის, რომელმაც რეგულარულად ვერ მიიღო ინსულინი და არ გაიგზავნა შემოწმებებზე](#) გარე სამედიცინო დაწესებულებებში. **რუსეთის** საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფ დაკავებულებს უფლება აქვთ დაუყოვნებლივ გაასაჩივრონ სამედიცინო ექსპერტიზის მოთხოვნაზე უარი, რათა დადგინდეს, შეესაბამება თუ არა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა წინასწარ პატიმრობას. აგრეთვე **რუსეთში** უზენაესმა სასამართლომ უარყო ციხის სამედიცინო დაწესებულების მოთხოვნა, შეეწყვიტა განაჩენის აღსრულება, რომელიც მას ავალდებულებდა უზრუნველყო პატიმარი კბილის პროთეზით მისი სხვა რეგიონში გადაყვანის შემდეგ. **ბელგიის** ციხეების გენერალურმა დირექტორმა ყველა ქალი პატიმრისთვის უფასო ჰიგიენური საფენი საშუალებების დარიგების შესახებ განაცხადა [პორტუგალიის](#) ციხეში [ჩაატარა მისი პირველი ტელე-კონსულტაცია ჰოსპიტლის დაწესებულებასთან](#). **ესპანეთში** [სასამართლომ პირველად მიიღო გადაწყვეტილება ციხეებში ევთანაზიის საქმეებზე](#).

საინფორმაციო ტექნოლოგიები ■ **ესპანეთში**, მთავრობამ მიიღო სამეფო (Royal Decree) განკარგულება, რომელიც ადგენდა მარეგულირებელ ჩარჩოს ციხეებში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების თაობაზე.

სამართლებრივი დაცვა და წარმომადგენლობა ■ **ბულგარეთის** სასამართლომ [უარი უთხრა ეროვნული იურიდიული დახმარების ოფისს საჩივარზე, რომელიც არ ეთანხმებოდა პატიმრის წარმომადგენელი ადვოკატისათვის ღირებულების გადახდას](#). **უკრაინაში**, სამართლებრივმა ცვლილებებმა პატიმრების წარმომადგენლებს პატიმრებთან ვიზიტებისა და სამართლებრივი რჩევების მიცემის საშუალება მისცეს. **რუსეთის** უზენაესმა სასამართლომ წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს მინდობილობის შექმნის შესაძლებლობა გაუხანგრძლივა. **გერმანიაში** ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ეფექტურ სამართლებრივ დაცვაზე პატიმრის კონსტიტუციური უფლების დარღვევა დაადგინა, რადგან სასამართლომ სათანადოდ არ განიხილა მისი განაცხადი.

LGBTIQ ■ **პორტუგალიის** რეინტეგრაციისა და ციხის სერვისების გენერალურმა დირექტორატმა მიიღო [ახალი წესები, რომლებიც მიმართულია ციხეში ტრანსგენდერი ადამიანების უფლებების დაცვისკენ](#).

უვალო სასჯელები ■ პოლონეთში, იუსტიციის სამინისტროს სურს შემოთავაზებულ სხვა ცვლილებებს შორის რამდენიმე დანაშაულზე სამუდამო პატიმრობა შემოიღოს გირაოს გარეშე.

მონიტორინგი ■ უნგრეთის ეროვნული პრევენციული მექანიზმის სტატუსი შემცირებულ იქნა მისივე კოლეგების მიერ დამოუკიდებლობის არარსებობის გამო. ბელგიაში ციხის ადმინისტრაციამ გამოსცა შიდა მემორანდუმი, რომელშიც ციხის დირექტორებს სთხოვდა, სისტემატურად განეხორციელებინათ სერიოზული ინციდენტების რეპორტირება მონიტორინგის კომისიებთან. **საფრანგეთში** ტულუზის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი (President of the Toulouse Bar) ეწვია ადგილობრივ ციხეს და შეაფასა მთავრობის მიერ დროებითი ბრძანების შესრულება, რომელიც რამდენიმე თვის წინ იქნა გამოცემული სასამართლოს მიერ.

პრევენციული დაკავება ■ პოლონეთის მთავრობამ გამოაცხადა პრევენციული დაკავების ცენტრების შესახებ კანონის რიგი ცვლილებების თაობაზე, სადაც სახიფათოდ მიჩნეული ფსიქიკური დარღვევების მქონე ადამიანები არიან განთავსებულნი საპატიმრო სასჯელის მოხდის შემდეგ.

საპატიმრო სამართალი ■ **საფრანგეთში** ძალაში შევიდა სასჯელადსრულების კოდექსი, რომელიც შეიცავს ყველა საკანონმდებლო დებულებას, რომელიც ეხება ციხეებს. **საფრანგეთში**, ძალაში შევიდა პენიტენციური კოდექსი, რომელიც შეიცავს ციხეებთან დაკავშირებულ ყველა სამართლებრივ დებულებას.

ციხის პერსონალი ■ ავსტრიის ციხის თანამშრომლებმა ციხის დირექტორს ოფიციალური წერილი გაუგზავნეს, სადაც აცხადებდნენ, რომ მათ „კონტროლი დაკარგეს“ დაწესებულებაზე და აღნიშნეს მენეჯმენტის არაერთი სერიოზული პრობლემა.

ციხის სტატისტიკა ■ ლიეტუვის მთავრობამ დაამტკიცა ახალი ციხის მშენებლობა, რომელიც პირველია ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რომელიც მიზნად ისახავს თითო პატიმარზე პირადი სივრცის გაზრდას. **პორტუგალიის** იუსტიციის მინისტრმა 600 ახალი პატიმრისთვის სივრცის შექმნის შესახებ განაცხადა. უნგრეთში მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ახალი სტატისტიკის მიხედვით, წინასწარ დაკავებულთა რიცხვი 2020-2021 წლებში 25%-ით გაიზარდა. **მოლდოვის** მთავრობის მიერ მოწოდებული მონაცემები აჩვენებს, რომ ციხეების ნახევარზე მეტი კვლავ გადატვირთულია. აგრეთვე **მოლდოვაში**, იუსტიციის სამინისტროს ბრძანების საფუძველზე გაიზარდა სასჯელადსრულების დაწესებულებების ოფიციალური მოცულობა, რის შედეგადაც შემცირდა პერსონალური სივრცე ერთ პატიმარზე. და ბოლოს, **მოლდოვაში** ხელისუფლებამ შეზღუდულად გამოიყენა 2021 წელს მიღებული ამნისტიის კანონი, *inter alia*, რათა შემცირებულიყო ციხეების გადატვირთულობა ბოლო სტატისტიკის შესაბამისად.

ციხე ომის დროს ■ მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების არაერთი ანგარიშის მიხედვით, **რუსული** კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერი“ აქტიურად იწვევდა მსჯავრდებულებებს რუსეთის სასჯელადსრულების სხვადასხვა კოლონიებიდან უკრაინაში სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად. **უკრაინაში** ახალი კანონი არეგულირებს მსჯავრდებულებისა და სამხედრო ტყვეების გათავისუფლებას მომავალი გაცვლისთვის.

კერძო და ოჯახური ცხოვრება ■ **რუსეთის** უზენაესმა სასამართლომ გააფართოვა იმ დაწესებულებების სია, რომლებთანაც პატიმარს შეუძლია ჰქონდეს მიმოწერა სრული კონფიდენციალურობის დაცვით. **უნგრეთის** უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმრის განთავსება ნათესავებისგან 200 კმ-ზე მეტი მანძილის დაშორებით არ არღვევდა მის უფლებებს. **ლიეტუვის** სასჯელადსრულების კოდექსის ცვლილებათა სერია ზრდის პატიმართა ვიზიტებისა და სატელეფონო ზარების რაოდენობას (რეფორმას ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებები შემოაქვს სამუშაოს, დაკავების რეჟიმებისა და ელექტრონული მონიტორინგის მიმართულებით). **ავსტრიულმა** სასამართლომ უარი უთხრა პატიმარს განცხადებაზე, რომელიც ითხოვდა უფლებას, შეემინა ლეპტოპი ციხეში გამომუშავებული ფულით და ამ შესყიდვის გაცხადებული მიზანი („განათლება“) მიიჩნია „განუსაზღვრელად“. **გერმანიაში** ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმრის შარდის შემთხვევითი წესით,

ზედამხედველობითი შემოწმებით, რაც ხორციელდებოდა ციხის თანამშრომლების თანდასწრებით, ციხის ადმინისტრაციამ დაარღვია პატიმრის პირადი ცხოვრების უფლება. [პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციურად მიიჩნია კანონი, რომელიც უფლებას არ აძლევდა დაკავებულის ოჯახის წევრს, გაესაჩივრებინა პროკურორის უარი, დაკავებულისთვის ოჯახის წევრთან ტელეფონით დაკავშირების შესახებ. \[CJUE-სთვის გაგზავნილი წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნაში, იტალიის უზენაესმა სასამართლომ იკითხა, შეესაბამება თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალს მცირეწლოვან ბავშვებთან მცხოვრები დედის ჩაბარება.\]\(#\)](#)

რელიგია ■ [ავსტრიის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ზრდის ციხეებში პასტორალური ზრუნვისა \(დახმარებისა\) და რელიგიური მსახურების თანხებს.](#)

უსაფრთხოება ■ [გერმანიაში](#), ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში, ციხის ახალი აქტი აძლიერებს ციხის სისტემის უსაფრთხოების მიზანს (და იძლევა ერთკაციანი საკნის პრინციპიდან მეტად გადახვევის საშუალებას). [ესპანეთში](#), სასჯელაღსრულების ადმინისტრაციის გენერალური სამდივნოს მიერ მიღებულ ახალ ინსტრუქციაში [ჩამოთვლილია ციხეების ახალი ადგილები, სადაც დამონტაჟებული უნდა იყოს CCTV კამერები და განსაზღვრავს პირობებს, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია ჩანაწერზე წვდომა.](#)

სასჯელის კორექტირება ■ [ბელგიაში](#) ძალაში შევიდა კანონი, რომელიც აღმასრულებელ სასამართლოებს უფლებას აძლევს გადაწყვეტილება მიიღონ ყველა კატეგორიის პატიმრებისთვის სასჯელის კორექტირების თაობაზე. ასევე [ბელგიაში](#) ახალი კანონი პატიმრების სასჯელის დასრულებამდე 6 თვით ადრე მათი ვადამდე გათავისუფლების საშუალებას იძლევა. [ესპანეთის](#) ეროვნულმა სასამართლომ (Audiencia Nacional) დაადგინა, რომ ტერორისტული დანაშაულისთვის მსჯავრდადებულებისთვის დროებითი შვებულების მინიჭების საკითხის განხილვისას, [კარგი ქცევისა და რეინტეგრაციის დადებითი ინდიკატორები ჭარბობდეს მსხვერპლთაგან პატიმრების ცალსახად მოთხოვნას.](#) [იტალიაში](#) ტრიბუნალმა დაადგინა, რომ მძიმე კორუფციაში მსჯავრდადებულ საჯარო მოსამსახურეს, რომლის მართლმსაჯულებასთან თანამშრომლობა მოსამართლის მიერ აღიარებულ იქნა, როგორც დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოება, შეუძლია მოითხოვოს სასჯელის სხვა ფორმები, გარდა პატიმრობისა, სასამართლო პროცესის დასრულებისთანავე, magistratura di sorveglianza-ს (საზედამხედველო სასამართლო სისტემის) შემოწმების გარეშე. [ჩეხეთის რესპუბლიკაში](#) საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება, რომ პატიმართა არც ერთი კატეგორია არ უნდა გამოირიცხოს პირობით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობისგან და დააკონკრეტა, თუ რა კრიტერიუმები უნდა გამოიყენონ ჩვეულებრივმა სასამართლოებმა იმავე პატიმრობისთვის მეორე პირობით გათავისუფლების საკითხის განხილვისას.

წამება ■ [რუსეთში](#), ძალაში შევიდა ახალი კანონი რუსულ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში წამების განმარტების რეფორმულირების შესახებ.

გადაყვანა ■ [A ბულგარულმა](#) სასამართლომ დაადგინა, რომ [ციხის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება პატიმრის გადაყვანის შესახებ *inter alia* მისი ქცევის გამო იყო თვითნებური და უკანონო.](#) პოლონეთის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ [ეროვნებით პოლონელი მსჯავრდადებული, რომელსაც აქვს ორმაგი მოქალაქეობა შესაძლებელია გადაყვანილ იქნას სხვა ქვეყანაში საპატიმრო სასჯელის მოსახდელად.](#)

სამუშაო ■ [ავსტრიულმა](#) სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმარი, რომელსაც დისციპლინარული სანქციების შედეგად არ შეეძლო ემუშავა, ვერ მიიღებდა კომპენსაციას. [საფრანგეთში](#) ციხეში მომუშავე პატიმრები ახლა დაქირავებულნი არიან „ციხის დასაქმების კონტრაქტის“ საშუალებით. [ბულგარეთში](#) უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაადგინა, რომ [ციხის დირექტორის გადაწყვეტილება პატიმრის სამსახურიდან გათავისუფლების უნდა გახდეს სასამართლო განხილვის საგანი.](#)

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენს [წევრებს და ასოცირებულ პარტნიორებს](#) ბიულეტენის ერთობლივად შედგენისათვის!

**EUROPEAN
PRISON
LITIGATION
NETWORK**

www.prisonlitigation.org

21ter rue Voltaire

75011 Paris

France

contact@prisonlitigation.org

წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენი დაფინანსებულია ევროკავშირის, UNAIDS და რობერტ კარის ფონდის მიერ. თუმცა, აქ გამოხატული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნით მხოლოდ ავტორებს და აუცილებლად არ ასახავს ევროკავშირის, ევროკომისიის, UNAIDS ან რობერტ კარის შეხედულებებსა და მოსაზრებებს. ევროკავშირი, ევროკომისია, UNAIDS და არც რობერტ კარის ფონდი არ შეიძლება იყოს მათზე პასუხისმგებელი.

**ROBERT
CARR
FUND** For civil
society
networks

